

ახალი აღთქმის ბაბილონური პრეფიგურაციები

I

როცა იესოს ლაზარეს უკურნებელი სნეულების ამბავი აცნობეს, მან მიუგო: “ესე სნეულება არა არს სასიკუდინე, არამედ დიდებისათვის ღმრთისა, რადთა იდიდოს ძე ღმრთისაჲ” (ი. 11:4).

სნეულება ისევე, როგორც სიკვდილი, ცოდვის ნიშანია. ასე ასწავლიდა ძველი აღთქმის რჯული. იესო კი ამბობს, რომ სნეულება, რომელმაც სიკვდილამდე მიიყვანა უცოდველი ლაზარე, ღვთის დიდების გამოსახენად შეემთხვა მას. სნეულება და ღვთის დიდება? სნეულება ღვთის განდიდების საშუალება? ამ ადგილს რომ მივადგებით, გვახსენდება ტანჯული იობი. თუ არა ის საშინელი ყოფა, რაშიც იობი ჩავარდა, თუ არა ადამიანისთვის ეს გაუსაძლისი განსაცდელი (უფალმა თავისი უსაზღვრო ცნობიერებით იცოდა, ვის ცდიდა, როგორც აბრაამის შემთხვევაში), რომელიც მან გაიარა, იგი ვერ შეიცნობდა, ვერ განიცდიდა თავის ხორცში ღვთის დიდებას, მის ყოვლისშემძლეობას... რა იყო იობი იმ უამამდე, სანამ ყოვლისშემძლე ღმერთი დაიწყებდა მისი გამოცდას ანუ იმ წამამდე, სანამ იგი აჩვენებდა თავის ენერგიებს (იობ 38-41)? იყო იობი ერთ-ერთი რიგითი ღვთის მოშიში, როგორიც უნდა ყოფილიყო ყოველი ადამიანი, მოყვარული მამა, მზრუნველი თავისი შვილების სიწმიდისთვის, რიტუალების ერთგული. ღმერთი სწყალობდა მას და იყო მასზე დავლათი. შეიძლება ვისმე მოჩვენებოდა, რომ მისი ერთგულება ღვთისადმი ერთგვარად ღვთის კეთილგანწყობილებით იყო განპირობებული, ცნობილი გარიგების თანახმად “გაძლეე, რათა მომცე” (do ut das)? ყოველ შემთხვევაში, სატანას სხვაგვარად ვერ წარმოედგინა: “განა შენ არ გყავს დაცული მთელი მისი სახლ-კართა და საბადებლითურთ? მისი ხელით ნაქმარი შენი ხელით არ არის კურთხეული?... აბა, გაიწოდე ხელი და შეეხე მის საბადებელს, თუ პირში არ დაგიწყოს გმობა” (იობ 1:10-11). და

ყოვლადღლიერი შეეხო მის ყველაფერს, რაც რაც კი ჰქონდა მას შექენილი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, მთელს მის მონაგარს, შვილებიდან დაწყებულს ნივთიერ დოვლათამდე, და წაერთვა მას დავლათიც, რითაც შეეძლო ეამაყნა, თუმცა არ უამაყნია, მაგრამ ყოვლის დამკარგველ იობს არ დაუგმია უფალი, არც ეს უთქვამს “ღმერთო, ღმერთო, რაისათვის დამიტევებ მე”, არამედ მხოლოდ: “შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველი დავბრუნდები იქ. უფალმა მომცა, უფალმა წაიღო...” (იობ 1:21). იობმა გაიმარჯვა სატანაზე. არც მაშინ დაუგმია იობს ღმერთი, როცა ის შეეხო მის სხეულს, მის ძვალსა და ხორცს... და, როცა მისმა დედაკაცმა მოუწოდა, “ბარემ დაგმე ღმერთი და მოკვდიო”, იობმა მხოლოდ ეს მიუგო: “უგუნური დედაკაცივით ლაპარაკობ! სიკეთეს კარგად ვიტანთ უფლისაგან, ავის ატანა კი არ გვინდა!” (2:9-10) – და დადუმდა და დიდხანს ხმა არ ამოუღია.

მისმა სამმა მეგობარმა, რომლებიც მისასამძიმებრად მივიდნენ მასთან, მისი ასეთი ყოფა ჩადენილ ცოდვებს მიაწერეს, თუმცა იობის უცოდველობაში, რაკი იცნობდნენ მას, ეჭვი არ უნდა შეპარვოდათ. ისინი დადგნენ თითქოს ღვთის მხარეზე და ცილს სწამებდნენ უბრალო იობს, რომლის ცხოვრება ხელის გულივით იყო გაშლილი უფლის წინაშე, და თავად იობმაც ვერ დასწამა ცილი თავს უფლის გულის მოსაგებად, რადგან თავის თავში ცოდვის ნატამალიც ვერ აღმოაჩინა (იობ. 29, 31). მან მხოლოდ დასწყევლა თავისი გაჩენის დღე. გავიხსენოთ ეს სიტყვები:

*“დაიქცეს ის დღე, მე რომ გავჩნდი,
ის ღამე, რომელმაც თქვა: კაცი ჩაისახაო!
ის დღე დაბნელდეს,
აღარ მოხედოს მას ღმერთმა ზეგარდამო,
აღარ ინათოს მასზე ნათელმა!...
არ გაიხაროს წლის დღეთა შორის,
თვეთა რიცხვში აღარ შეირაცხოს!
აჰა, გაბერწდეს ის ღამე,
აღარ ეღირსოს სიხარული!..*

დაე, დაბნელდნენ მისი განთიადის ვარსკვლავები,
ელოდოს ნათელს და არ გამოჩნდეს,
და ვერ იხილოს მან ცისკრის წამწამები.
რადგან დედაჩემის საშოშივე კარი არ დამისშო....
რად ამიქვეს მე ბებიასაქალის მუხლებმა
და რად შემეგებნენ დედის ძუძუნი მოსაწოვებლად?" (იობ 3).

სასტიკი იყო მისი ღმერთი, რომელმაც სატანასთან პაექრობაში მის დასამარცხებლად ასეთი განსაცდელი მოუვლინა და ეს სასტიკი სიტყვები ათქმევინა. იობი უარყოფს თავს (უფრო თავის გაჩენას), მაგრამ არა როგორც ცოდვილი და ღვთისმგმობელი. ეს ყველასათვის, თვით მისი ბრძენი მეგობრებისათვისაც კი, გაუგებარი იყო. ასეთი რამ მათ – ბრძენკაცთა გამოცდილებაში არ მომხდარა. და ისინი შეცქეროდნენ მას, როგორც განკიცხულს, ღვთისგან მიტოვებულს, თითქოს ერთი ვინმე კაენიანი ყოფილიყო. ისინი ვერ ჭვრეტდნენ იობის ამგვარი ყოფის მიღმა დაფარულს და თავს იმშვიდებდნენ ზოგადი დებულებით, რომ ყოველი სატანჯველი ცოდვის შედეგია. “მე ვიტანჯები, მაშასადამე, ცოდვილი ვარ”. არის ცოდვა და ადამიანიც ეძებს ამ ცოდვას, სად არის იგი? – ეს სილოგიზმი გამსჭვალვდა ახლო აღმოსავლეთის ადამიანის ცნობიერებას. მინა არნი (“რა არის ჩემი ცოდვა?”) საკუთარ სახელადაც კი დასტურდება ურის III დინასტიის ეპოქაში (ძვ.წ. 2000-1900). მაგრამ ამ სიმართლეს იობის მაგალითი აცამტვერებს. მისი მეგობრები სათიათაოდ წარმოთქვამდნენ სიტყვებს, ცდილობდნენ აეხსნათ მისი ამგვარი ყოფის მიზეზები, მაგრამ, იქნებ თავადაც ხვდებოდნენ, რომ ვერ აღწევდნენ ამას და მტვერსა და ნაცარში მჯდარი იობი საიდუმლოებად რჩებოდა მათ წინაშე.

ძველ აღთქმაში არის ერთი ფიგურა უბრალოდ ტანჯულისა, რომელიც ასევე მიუწვდომელ საიდუმლოდ რჩებოდა ქრისტემდე ოთხასზე მეტი წლის მანძილზე და ასევე აცამტვერებდა იმ მოარულ სიმართლეს, რომ ტანჯვა და ყოველი სნეულება ცოდვის შედეგია. ესაიას

წინასწარმეტყველების 53-ე თავი გვაცნობს იობივით დასნეულებულ და გატანჯულ ადამიანს, რომელსაც ყველა გაურბოდა, როგორც კეთროვანს, როგორც ღვთისგან დასჯილს, და მაშასადამე, საძულველს და უკარებელს. მაგრამ რა იმალებოდა მის ამ სატანჯველს მიღმა, მცირედმა თუ უწყოდა, შემდგომ კი საყოველთაოდ გახდა ცნობილი. მოვუსმინოთ ესაიას:

*საძულველი იყო, კაცთაგან ათვალწუნებული,
გატანჯული და სნებამორეული,
ერთი იმათგანი, ვისაც პირს არიდებენ,
საძულველი იყო და არად ვაგდებდით,
ნამდვილად კი მას ეკისრა ჩვენი სნებები
და ეტვირთა ჩვენი სატანჯველი.
ჩვენ კი გვეგონა, ღვთისგან იყო ნაცემ-ნაგვემი
და დამცირებული.
მაგრამ ის ჩვენი ცოდვებისთვის იყო დაჭრილი,
ჩვენი უკეთურებებისთვის დაღეწილი.
მასზე იყო სასჯელი ჩვენი სიმრთელისთვის
და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ.
ყველანი ცხვრებივით დავეხეტებოდით,
თითოელი ჩვენ-ჩვენ გზას ვადექით,
უფალმა კი მას შეჰყარა ყოველი ჩვენგანის უკეთურება.
ვენო და ეწამა, მაგრამ ბაგე არ დაუძრავს;
კრავივით დასაკლავად მიიყვანეს
და, როგორც ცხვარი ღუმს მპარსველთა წინაშე,
მასაც არ დაუძრავს ბაგე...*

ვინც კი მიაღებოდა ამ ადგილს, თავს იტყებდა მის გასაგებად – ვისზეა ეს ნათქვამი, ვინ არის ეს უბრალოდ ტანჯული, რა დააშავა, რომ მას აჰკიდა ღმერთმა ჩაუდენელი ცოდვები და სასჯელიც დააკისრა მათთვის. ნამდვილად ცხოვრობდა ასეთი ადამიანი, თუ ცხოვრობს სადმე ან მომავალში უნდა ეცხოვრა?

“მოციქულთა საქმეებში” ერთი ეპიზოდია, რომელსაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანულ ეგზეგეტიკაში: იჯდა ეტლში ეთიოპიელი ვინმე დიდებული, დედოფლის კარისკაცი, მეგანძური, ერთ უკაცრიელ ადგილას, იერუსალიმსა და ღაზას შორის, კითხულობდა ესაიას ამ სტრიქონებს და ამაოდ ცდილობდა ჩაწვდომოდა მრავალგზის წაკითხულს; ჩაიკითხავდა და კვლავ უბრუნდებოდა, განსაკუთრებით იმ ადგილს, სადაც ეწერა: *“კრავივით დასაკლავად მიიყვანეს და, როგორც ცხვარი ღუმს მპარსველთა წინაშე, მასაც არ დაუძრავს ბაგე”*. და ასე წვალობდა, ვიდრე უფალმა მოციქული ფილიპე არ მოუვლინა და მისი პირით არ გაუცხადა, რომ ეს კრავი იესოა, რომელიც *ახლახან ეწამა კაცობრიობის ცოდვებისთვის (საქმე 8:26-35)*. ნეტარი იერონიმუსი ამ ადგილის გამო წერდა, რომ ესაია აქ უფრო მახარებელია, ვიდრე წინასწარმეტყველი. თითქოს ესაია თვითმხილველი ყოფილიყო იმ ამბისა, რომელიც ოთხასი წლის შემდეგ იერუსალიმში მოხდა. ნამდვილად, შეგვეძლო გვეთქვა, რომ ესაია 53 ძველ აღთქმაში ჩართული სახარებაა (“სახარება ესაისგან”). ის აღამიანები, რომლებიც გაყვიროდნენ “ჯვარს აცუ, ჯვარს აცუ ეგე”, რომელთაც ვერ ამოიცნეს (ან არ სურდათ ამოეცნოთ) იმ კრავში მეფე და მაცხოვარი, იობის იმ სამი ბრძენი მეგობრის მოდგმისანი იყვნენ, რომლებიც კიცხავდნენ იობს, მოუწოდებდნენ, ეღიარებინა “თავისი” ჩაუდენელი ცოდვები და ქედი მოედრიკა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ბრძენთა სიბრძნე არაფერი ყოფილა ღვთის განგებისა და საიდუმლოს წინაშე. აქ პირველად დაიხატა ვითარება, რომლის დაფარული საზრისი ამ სიტყვებით გამოიჭედა: *“რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისა სიცოფე არს წინაშე ღმრთისა”* (1კორ 3:19). ამ სიცოფეზე (ანუ სისულელეზე), რომელიც უფლის სიბრძნეს დაუპირისპირდა, პასუხი აგეს იობის მეგობრებმა. ბოლოს, მათ ისევ და ისევ იობი გამოესარჩლა, როგორც ქრისტე – თავის მტანჯველებს: *“მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან”* (ლ. 23:34).

თუ ისმის კითხვა, თუ ვისი ცოდვების წილ დაეკისრა სასჯელი მართალ იობს ან ძმების ხელით გაყიდულ უცოდველ იოსებს, ქრისტიანული ეგზეგეტიკა ნეტარი ავგუსტინეს გენიალურად სხარტი და უკიდურესად დაწურული ფორმულის შუქზე იძლევა პასუხს. ეს ფორმულა – “ძველ აღთქმაში დაფარულია ახალი აღთქმა, ახალ აღთქმაში გაცხადებულია ძველი” – არის სასინჯი ქვა, რომლის ძალითაც ფასდება ძველი აღთქმის პიროვნებათა თუ მოვლენათა ღირებულება. თავისთავადობის შენარჩუნებით ეს ძველადღობისეული პიროვნებანი, როგორც უბრალოდ ტანჯულნი, ქრისტეს ვნებათა პრეფიგურატიული (“წინასახეობრივი”) სახეები არიან. ისინი, ნამდვილად იტანჯნენ ხორციით და სულით, როგორც რეალური ადამიანები, მაგრამ ამავე დროს ვნებული მაცხოვრის, კაცობრიობის ცოდვათა მტკირთველი ტარიგის, ისტორიული “პროტოტიპები” აღმოჩნდნენ. ძველი აღთქმა რომ პრეფიგურატიულია ახლის მიმართ, ეს ცნობილია. ისიც ცნობილია, რომ ეკლესიის მამებს, განსაკუთრებით მათ, ვინც აღზრდით ელინურ კულტურას იყვნენ ზიარებული (რამდენადაც ათენისა თუ სხვა რიტორიკულ სკოლებში მიიღეს განათლება), ჰქონდათ მიდრეკილება გაეფართოვებინათ პრეფიგურატივის ჰორიზონტი, სახელდობრ, ჩაერთოთ ეგზეგეტიკულ პროცესში ელინური მითოსისა თუ ლიტერატურის პერსონაჟები და მოვლენები. მენადების მიერ უმიზეზოდ დაგლეჯილ ორფევსში ან ასევე განწვალებულ დიონისეში, ატისში თუ აღონისში მათ შეეძლოთ ქრისტეს წინამორბედნი ეგულისხმათ; ოდისევსის ზღვაზე ხეტიალი და საბოლოოდ შინ დაბრუნება წუთისოფლად მოხეტიალე სულის სასუფეველში დაბრუნებად გაეაზრებინათ; ან სირინოზებისგან თავის დაღწევაში სიკვდილზე გამარჯვება დაენახათ; ჰომეროსისეული “ნიმფების მღვიმე” (“ოდისეადან”) ქრისტიანული სიმბოლიკის ენაზე წაეკითხათ; ნიჟარიდან დაბადებული აფროდიტე ნათლობის ემბაზიდან ამოსულ სულთან გაეიგივებინათ; ლედა გედთან ერთად უბიწო ჩასახების საიდუმლოს მიმანიშნებლად მიეჩნიათ... პრინციპულად, მთელი ელინურ-ელინისტური კულტურა – არა მხოლოდ მითოსი, არამედ ფილოსოფიაც სოკრატე-

პლატონითურთ, ძველი აღთქმის პარალელურად, მათ შეგნებაში ახალი აღთქმის შემამზადებულ საფეხურად ჩანდა. საჭირო იყო მხოლოდ ძველების მითებსა და მხატვრულობის საფარველ ქვეშ მოქცეულ ჭეშმარიტებათა გამომზეურება, რათა ქრისტიანობას დაებრუნებინა ის, რაც მას იმთავითვე ეკუთვნოდა.

თუ მათ აღზრდა-განათლებაში ძველადმოსავლური კულტურაც იქნებოდა ჩართული, ახალი აღთქმის ძირითად ჭეშმარიტებათა პრეფიგურატივის სფერო საგრძნობლად გაფართოვდებოდა. მაგრამ ეს კულტურა იმხანად უცნობი იყო.

III

იობს ეს სამი, თუნდაც ბრიყვი და “სხვის ომში ძლიერი” მეგობარი მაინც ჰყავდა, რომელთაც უსმინეს მას და გამოიტანეს ამბავი. სხვა ამ ბედნიერებასაც მოკლებული იყო.

კასიტური ბაბილონში დაახლ. XII ს.-ში ძვ.წ. ცხოვრობდა კაცი ვინმე, სახელოვანი, ღვთისმოსავი, “უხვი და მდაბალი”, “მორჭმული და განგებიანი”, მეფეთა სწორი, ქალაქის პატრონი, მრავალყმიანი, დავლათიანი – სახელად *შუბში-მეშრე-შაქანი*.

და აი, ასეთმა კაცმა ერთ მოულოდნელ დღეს იგრძნო, რომ მას ზურგი შეაქციეს მისმა ღმერთმა და ქალღმერთმა, განეშორა კეთილი *ღემონი* და სხვას დაუწყო ძებნა... და დაიწყო მისმა დავლათმა განსვლა მისგან.

დაიწყო მეფის წყრომით და დამთავრდა ახლობელთა (თვისტომთა, შინაურთა) გაუცხოებით... მიმართა კაცმა ორაკულს და საშიში, ავისმომასწავებელი იყო ნიშები, მისანმა ვერაფრით ანუგეშა, აუხსნელი სიზმრები მაჯღაჯუნასავით დააწვა...

“მეფე – ღვთის ხორცი, მზე თავისი ხალხისა, გამიწერა...,”

მტრად გადამექცა მოევასი ჩემი...

ღუმს ჩემი ქალაქი უცხო ქალაქივით...

ნათესავთა შორის განდგეილად ვიქეც,

უცხოდ შემრაცხა ნათესავმა ჩემმა...”

და, საბოლოოდ, იგი მოაშორეს იმ ქალაქს, რომელიც ჩაბარებული ჰქონდა საგანმგებლოდ, და სხვას გადასცეს; ყველა მისი თანამდებობა სხვებმა გაინაწილეს, და ეს უხვი და მდიდარი კაცი, რომელიც იობივით მრავალს აპურებდა, უმიწაწყლოდ და ულუკმაპუროდ დატოვეს. “*ჩემი ყანებიდან განდევნეს პოპუნა...*” მოთქვამდა იგი.

მაგრამ ეს არ აკმარა ბედმა. ასერიგად დამცირებულს, ყველასაგან გაუცხოებულს და მიტოვებულს, საკუთარი თავის ამარა დარჩენილს, ქვეყნის ოთხივ კიდიდან და ქვესკნელიდან ერთბაშად ეკვეთა ყველა სნეულება, რომელიც კი იმხანად შეიძლება არსებულიყო; არ დარჩენილა ასო, რომელსაც სნეულება არ შეხებოდეს; სნეულებებმა დაიბუდეს მის სხეულში და თავის სამოსელად გაიხადეს, გაატანეს მის ძვალ-რბილში...

სნებანი აღიძრნენ ჩემ წინააღმდეგ,

ავმა ქარმა დაუბერა ცისკიდიდან,

ქვესკნელის კერდიდან აღმოხდა უემური...

ბალახივით ამოძვრა უძღურება...

მკერდი მიგვემეს, გულ-მკერდი ჩამიღვეწეს,

გულ-ღვიძლში სახმილი გამიჩაღეს...

მაღალი ტანი ზღუდესავით მომირღვიეს,

ძლიერი სხეული ლერწამივით დამიხარეს.

ულუ-ეშმამ ჩემი სხეული სამოსელივით ჩაიცვა...

მოუძღურდნენ ჩემი მუხლები,

სვლა გადაავიწყდათ ფეხებს...

კარი ჩემი დაიგმანა, აუზი ჩემი დაიბეჭდა...

პურს მაწვდიან, ანწლივით ველაპავ...

ძვლებზე აქვა ტყავი ჩემი,

სახლი საპერობილედ მექცა...

საქონელივით მიინავს ჩემსავ სიბილწეში,

ცხვარივით ვგორავ ჩემსავ განავალში...

ღიაა სამარე ჩემი და დატირებაც მზადაა.

ვიდრე მოკვდებოდე, გლოვა დამისრულეს...

არარაობად იქცა ეს ადამიანი, გაუუცხოვდა მას არა მხოლოდ მტერ-
მოყვარე, არამედ საკუთარი თავიც. ახლა მას შეეძლია – ბევრი დრო
ჰქონდა საამისოდ – გარედან შეეხედა საკუთარი თავისათვის, როგორც
უცხოოსთვის, ყოფილიყო პირუთვნელი, ეძებნა თავის თავში რაიმე
შეცოდება და დანაშაული, რისთვისაც ამ ყოფაში ჩავარდა. ეძებს,
როგორც იობი, მაგრამ ვერ პოულობს. ავკაცობის ნატამალიც კი,
რისთვისაც შეიძლება დასჯილიყო, არ ჩანს მის ცხოვრებაში. და
მთლიანად დაიმსხვრა მისი წარმოდგენები მართალ ცხოვრებაზე,
რომელსაც ის მისდევდა, შესაძლოა, საზღაურის იმედით, შესაძლოა,
უანგაროდ – სიკეთეს სიკეთის გულისთვის სჩადიოდა. მაინც რა არის
მართალი ცხოვრება?

რა უკუღმართობა ტრიალებს ირგვლივ!

მსგავსად იმისა, ვინც ღვთაებას მსხვერპლს არ სწირავდა,

ინახად მჯდარი ქალღმერთს არ უხმობდა,

ქედს არ იხრიდა, თაყვანისცემას არად მიიხნევედა,

ვის ბაგეებში შემწყდარიყო ლოცვა და ვედრება,

ვინც ღვთის დღე შეურაცხყო, შაბათი შეიძულა,

ვინც მცონარებდა, ღვთიურ მცნებებს ივიწყებდა,

ღვთის მოწიწებას ხალხს არ ასწავლიდა,

თავისი ღმერთის უხსენებლად ჭამდა საჭმელს...

ვინც საზეიმო ფიცს ფუჭად იფიცებდა –

მათ მსგავსად მომეგო მე.

ხოლო მე მახსოვდა ლოცვა და ვედრება,

ლოცვა ჩემი სიბრძნე იყო, მსხვერპლშეწირვა – ჩემი რჯული,

დღე ღმერთის თყვანისცემისა – გულის სიხარული...

ლოცვა მეფისათვის – ღხენა ჩემი,

მისდამი გალობა – სიკეთე ჩემი....

ჩემი ქვეყანა ღვთის წესთა მარხვაში გამოვწვართე,

ქალღმერთის ძვირფასი სახელი ჩემს ხალხს ვახსენებინე...

*მეგონა, სათნო იქნებოდა ეს ღვთისთვის.
თურმე კაცებრივი სიკეთე ღვთისთვის ბოროტება ყოფილა,
კაცის საძულველი რამ ღვთისთვის სიკეთე ყოფილა.
ვინ მიხვდეს ცათა წიადში ღმერთების ნებას?
ვინ შეიცნოს ქვესკნელის ღმერთების ზრახვა?
ვით გაიგოს მოკვდავმა გზა ღმერთებისა?
გუშინ ცოცხალი დღეს უკვე მკვდარია...*

ზნეობრივი, თუნდაც ონტოლოგიური ღირებულებები გადმოყირავებულია. ადამიანი საიდუმლოს წინაშე დგას და ეს საიდუმლო ჩიხია, საიდანაც გამოსავალს ვერ პოულობს. როგორ შეურიგდეს ამ აბსურდს, რასაც ღმერთებისგან მიტოვებული, დაცალიერებული ყოფა წარმოადგენს, თუმცა როცა იყვნენ ქვეყანაში ეს ღმერთები, მაშინაც ყრუნი და უცხონი ყოფილან...

მაგრამ პარადოქსი ის არის, რომ უმიზეზოდ ტანჯული *შუბში-მეშრე-შაქანი* სწორედ ახლა, ყველასაგან მიტოვებული და გაუცხოვებული, თავისი გატანჯული სხეულის ამარა დარჩენილი, პოულობს თავის თავს; პოულობს ამ აბსურდში და გაუგებრობაში, რათა უაზრობისა და არარაობის ფსკერამდე დასულს კვლავ გამოუჩნდეს ცხოვრების საზრისი. ეს ადამიანი ამ დროს იმ ყოფაშია, იმ მიჯნამდეა მისული, რასაც შეიძლება ეწოდოს ზღვრული სიტუაცია, რა აზრსაც მასში ამ ცნება-ტერმინის შემომღები კარლ იასპერსი დებს. სახელდობრ, ეს ის მდგომარეობაა, როცა ადამიანი მიყენებულია თავისი ყოფის ზღვრამდე, საზღვრამდე, ზღურბლამდე, რომლის იქით არარაობაა. არავითარი საყრდენი, არავითარი მყარი ღირებულება, ყველაფერი გაცამტვერებულია ამ უმიზეზობის წინაშე; გაქარწყლებული და გაუფასურებულია რაიმე საზრისი; ადამიანი გაგდებულია ყოფიდან, მიუსაფრობაშია. რაკი მსჯელობამ ეგზისტენციალური მიმართულება მიიღო (რაც იქნებ არც იყო აშუამად ჩვენს განსჯათა საგანი, თუმცა ეს ბაბილონელი ეგზისტენციალური ფილოსოფიის ერთგვარი პარადიგმული სახის – ლევ

ტოლსტოის ივან ილიჩის ნამდვილი, შეუღამაზებელი ტყუპის(ცალია), ვთქვათ ბარემ, რომ თუ სადმე იმსხვრევა დეკარტესეული “ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ”, ეს ადამიანის რეალური, არა რაციონალურ-თეორიული ყოფაა. არა აზროვნება, არამედ ტანჯვაა ის, რაც ადამიანს განაცდევინებს არსებობას მთელი სიმძაფრით. “ვიტანჯები, მაშასადამე, ვარსებობ” – აი აღიარება, რომელიც მეტ-ნაკლებად ყოველ ადამიანს (“დიდი ძეს კაცით კაცამდი”) თავისი გამოცდილებით შეუძლია წარმოთქვას. “ტანჯვა დაკავშირებულია პიროვნების თავად არსებობასთან და პიროვნულ ცნობიერებასთან”, “ტანჯვა არის ადამიანური არსებობის მთავარი ფაქტი”, ამბობს ნ. ბერდიაევი, მაგრამ რა არის ამის მიზეზი, არ ასახელებს. შესაძლოა, ბანალურად ეჩვენება მისი დაკავშირება ადამის ცოდვასთან, ადამიანის, როგორც გვარის, ცოდვილ ბუნებასთან. მაგრამ მთავარი აქ მიზეზი არ არის. მთავარი მისი შედეგია, რომელიც მის საზრისზე მიუთითებს. კვლავ ნ. ბერდიაევი (უკეთესად ძნელია გამოითქვას): “ტანჯვაში ადამიანი განიცდის ღვთივმიტოვებულობის წუთებს და, ამავე დროს, ამ ტანჯვის განვლით იგი ეზიარება ღმერთს. ტანჯვა შეიძლება სიხარულში გადაიზარდოს”. თუ დავუბრუნდებით ბაბილონელს, რომლის მდგომარეობა ზედმიწევნით გადმოიცა ზემოთმოტანილ სიტყვებში, აღვნიშნავთ, რომ მისი მაგალითი გვიჩვენებს, რომ სწეულება, მისგან გამოწვეული ხორციელი ტკივილი, სულიერი ტანჯვის ფიზიკური ნიშნებია. ტანჯვა ისეთი რამ არის, რომ ის იწყება ხორციით (“ხორცთა ხვდებიან”) და კულმინაციას სულში აღწევს. ხორციდან სულამდე. არა სულიდან ხორცამდე. ხორციდან იწყება არა მხოლოდ ტკივილი, არამედ ყოველი შეურაცხყოფა, რაც ჩვენ ხშირად სულიერ შეურაცხყოფად მიგვაჩნია. ყველაფერი, რაც ამცირებს ადამიანს და სულიერ სატანჯველში გადაიზრდება, სხეულიდან იწყება, რომელიც ყველაზე დაუცველია ადამიანის ბუნების იერარქიაში (სხეული, სამშენველი, სული). ეს არის ფიზიკური სიდატაკე, შიმშილი, სიშიშველე უკიდურესი უპოვრობის გამო, შეურაცხყოფელი სილიდან (რაც ტკივილსაც იწვევს, თუმცა ეს არ არის მთავარი) ცემა-გვემამდე,

წამებადღე, გაუსაძლის არაადამიანურ სატანჯველადღე, “რომელნი ხორცთა ხედებიან”. ტკივილი ხორცისაა, მისგან იწყება: “აწებს ხორცსა, მერმე სულსა”.

ის, რაც იგრძნო ამ სწეულებაში ლევ ტოლსტოის ივან ილიჩმა, სახელდობრ, “სრული მარტობა, რომლის მსგავსი ვერსად იარსებებდა: ვერც ზღვის ფსკერზე, ვერც დედამიწაზე...”, უნდა დაუფლებოდა ბაბილონელ სწეულს. ეს ფსკერი ზღვისა, თუნდაც ვეშაპის მუცელი, რომელშიც იონა წინასწარმეტყველი ჩავარდა, მისი *მეს* ზღვარი იყო, მისი ფიზიკურ-მშენიერი დასაზღვრულობა, რომელშიც, როგორც ციხეში, გამოიმწყვდა. ეს იყო ყველაზე საშინელი და სასოწარმკვეთი – ეს უკანასკნელი ზღვარი, საზღვარი, ზღურბლი, რომლის იქით უკვე არარაობა, უმყოფობა იწყებოდა.

და ის კითხვა, ივან ილიჩს რომ აღექრა და იმ გამუდმებულ ტკივილთან ერთად არ ასვენებდა, თანსდევდა თავის მარტობაში ბაბილონელ სწეულსაც – იყო ბავშვური კითხვა *რატომ?* რატომ დაემართა ეს ყველაფერი? რა არის ამ ტანჯვის, იძულებითი კიდევანობის საზრისი? ამაზე პასუხი რუსს და ბაბილონელს სხვადასხვაგვარად გაეცათ. მაგრამ ერთი რამ მათთვის საერთო იყო, რაც ამ ყოფამ მათთვის ცხადი გახდა: მათ განიცადეს იმ წარმოდგენის სიყალბე, რომ რეალურად ყოველთვის *სხვები კედებიან*, ჩემი სიკვდილი კი, თუმცა მოკვდავი ვარ, ვირტუალურ, ჰორიზონტის დროსა და სივრცეშია. და, აჰა, მათაც ეწიათ ეს წამი: *სხვა უკვე მე* გახდა. ერთ-ერთი კარდინალური ჭეშმარიტება, რომელიც შეიცნეს ივან ილიჩმა და ბაბილონელმა *შაქანმა* (აქ შევამოკლოთ მისი მქუხარე სახელი), ეს იყო: არ არსებობს *სხვა*, რომ *სხვა* ილუზიაა; რეალურად არსებობს მხოლოდ *მე* და *მე* და ასე უსასრულოდ.

კითხვაზე *რატომ* ივან ილიჩს ჰქონდა პასუხი, თუმცა თავად არ იცოდა, რომ სწორედ ეს იყო პასუხი, რამაც მის გულში ამგვარი სიტყვიერი გამოსატყულება ჰპოვა: “ვერ ვეწინააღმდეგები, – ამბობდა თავისთვის. – მაგრამ გამაგებინა მაინც, რატომ, რატომ? ესეც არ შეიძლება. ადვილად

აიხსენებოდა, თუ ვიტყვოდი, რომ არ მიცხოვრია ისე, როგორც საჭირო იყო. მაგრამ სწორედ ამაში ვერ გამოვტყდები. – ეუბნებოდა ის თავის თავს, როცა იხსენებდა თავისი ცხოვრების სჯულიერებას, სისწორეს და წესიერებას”. აღიარებდა თუ არ აღიარებდა თავის ცხოვრებას სიყალბედ და არარაობად, ეს არაფერს ცვლიდა; მთავარი აქ ის იყო, რომ გაჩნდა ეჭვი განვლილი ცხოვრების მართებულობაში. ივან ილიჩი თავისი ეპოქის და ამ ეპოქის საზოგადოების შვილი იყო და მას არ ჰქონდა *სხვა ცხოვრების* მაგალითი, რომ *საკუთარი* მისთვის შეედარებინა. მას ერთი სიცოცხლე მიეცა და მან აქცია ეს სიცოცხლე ისეთ ცხოვრებად, როგორც განლიეს სხვებმა მანამდე და განლევენ მის შემდეგაც, – თითო ცხოვრებას, რომელიც არასოდეს განმეორდება. “რა გინდა?” – ეკითხებოდა მარტოობაში ხმა. – “არ ვიტანჯო. ვიცხოვრო” – პასუხობდა ხმას. აქ დადარაჯდა, დაიძაბა მომაკვდავი, ტკივილიც კი დაავიწყდა, ისე ელოდა პასუხს. პასუხმა არ დააყოვნა, ოღონდ მას კითხვის სახე ჰქონდა: “იცხოვრო? როგორ იცხოვრო?” – “ღიას, ვიცხოვრო, როგორც ადრე ვიცხოვრობდი: კარგად, სიამით”. და კვლავ კითხვაზე, თუ რა იყო კარგი და საამური, ვერაფერი მიუგო, მორიბუნდუსმა ველარ აღმოაჩინა თავის ცხოვრებაში ვერც ერთი საამური წუთი; რაც საამურად მიაჩნდა, ახლა სხვაგვარად წარმოუდგა მას, გარდა ადრეული ბავშვობის მოგონებებისა. მაგრამ ბავშვობაც წასული იყო და მთელი ცხოვრება, რომ შეძლებოდა მისი ახლებურად განლევა.

ბაბილონელი დარწმუნებული იყო თავისი ცხოვრების სჯულიერებაში, არ დაეჭვებულა, მსგავსად იობისა, რომ ცხოვრება კეთილად განლია. კითხვამ *რატომ* მასში პარადოქსული აზრი დაბადა, რაც მრავალი საუკუნის შემდეგ სხვა ზნეობრივ-რელიგიურ გარემოებაში მოციქულმა პავლემ გაახშიანა საუკუნეთა მიმართ (“რამეთუ სიბრძნე ამის სოფლისაჲ სიცოფე არს წინაშე ღმრთისა”). როცა ბაბილონელი ჩამოთვლის ჩადენილ სიკეთეებს, შესაძლოა, კბილთა ღრჭენით, შესაძლოა, შვებით დაასკვნის: “შეგონა, სათნო იქნებოდა ესე ღვთისათვის; თურმე კაცებრივი სიკეთე ღვთისათვის ბოროტება ყოფილა, კაცის საძულველი რამ ღვთისათვის

სიკეთე ყოფილა. ვინ მიხვდება ცათა წიაღში ღმერთების ნებას?.. ვით გაიგოს მოკვდავმა კაცმა გზა ღმერთებისა?”
არც ივან ილიჩი აქამდე არ მიდის, მას არც ღმერთი სწამს და არც ის იცის, თუ რაში მდგომარეობს მართალი ცხოვრება. ატყობს, რომ განვლილი სავსეა ცრუსიამეებით, მაგრამ რა არის ჭეშმარიტი სიამე და ბედნიერება, მან არ იცის. ის საბოლოოდ დაღუპულია. გესურს გავიგოთ საბოლოო პასუხი, რაც მან მიიღო? სიკვდილის გარდაუვალობა, რომ სიკვდილი *სხვათა* მსგავსად ახლა მას ეწვია და რომ ეს ცხადზე ცხადია, მან თითქოს შეიცნო, მაგრამ კითხვაზე “Зачем эти муки?” იყო საზარელი პასუხი: “а так, ни зачем”.

არაფრისთვის. არა, ასეთ პასუხს ბაბილონელი ვერ აიტანდა; არც ავტორი თხზულებისა, რომლის გმირიც არის იგი, არ დააკისრებდა მას სასჯელად ამგვარი პასუხის მოსმენას. არა არაფრისთვის, ისე, უბრალოდ, არ დატყდომია მას ეს სატანჯველი, არც ამო ყოფილა ეს ღვთიური შეხება (*ლიფით ილი ბაბილონური* გამოთქმა ღმერთის ირაციონალური აქტის გამოსახატავად), რამაც არარაობის ფსკერამდე მიიყვანა მქუხარე სახელის მქონე დიდებული ადამიანი. და იქ, სადაც მთავრდება ივან ილიჩის ვნებანი, ბაბილონელისთვის მოულოდნელად გამოჩნდება ზღურბლი და ზღურბლს იქით ახალი ცხოვრება.

IV

მარდუქის ვნებანი. მარდუქი იყო მთავარი ღმერთი ქალაქ ბაბილონისა, რომლის ერთ-ერთი წარჩინებული მოქალაქე იყო ეს ჩვენი უმიზეზოდ ტანჯული *შუბში-მეშრე-შაქანი*. მარდუქი ნელ-ნელა იზრდებოდა იმ ქალაქთან ერთად, რომლის პატრონიც იყო იგი უხსოვარი დროიდან. და, ბოლოს, როცა ეს ქალაქი, რომლის მნიშვნელობა მის სახელში – *ბაბ-ილი* “სახლი ღვთისა” – აისახა, იმპერიის ცენტრი შეიქნა, მარდუქიც აღზევდა მასთან ერთად და სამყაროს შემოქმედის ტიტული მიიღო. ამიერიდან იგი ათასსუთასი წლის განმავლობაში უმაღლეს ცაზეა დავანებული, ხოლო მიწიერი ტახტი ზუკურატის –საფეხუროვანი ტაძრის – უკანასკნელ

სართულზე აქვს. ამ სიშორის მიუხედავად მარდუქი მაღლიდან მზრუნველობით გადმოყურებს ქვეყანას და თითოეულ ადამიანს უთვალთვალებს, განსაზღვრავს თითოეული მათგანის ბედს. წესით, იგი ბაბილონის მეფის პირადი ღვთაებაა, მაგრამ არც რიგით ადამიანს – და მეფის წინაშე უპირველესი დიდებულიც რიგითია – უგულებელყოფს მისი მზერა. ძველი ათასწლეულის ბოლომდე იგი ითვლებოდა არა მხოლოდ მზრუნველად და მწყალობელად, ობოლთა და ქვრივ-ოხერთა მეოხედ, ღარიბ-ღატაკთა და შეჭირვებულთა ხელისამკყრობელად, არამედ “სიცოცხლის განმაახლებლად კაცთათვის”, უფრო მეტიც: “მკვდართა განმაცოცხლებლად (*მუბალიტ*) – ეს არის ტიტული, რომელიც სემანტიკურად ზუსტად შეესატყვისება ბერძნულ *სოტერს*, “მაცხოვარს”. მაგრამ როგორ ახორციელებს მარდუქი *მაცხოვარების* აქტს? ზემოდან, ციდან სიცოცხლის წყლის წვიმებით, როგორც სხვა, ბაალებად წოდებული ღმერთები ახერხებენ? როგორ ამოყავს მას სამზოვო ქვესკნელის მკვიდრნი, მზეგადასულნი? ყველა ღმერთს შორის, ვისაც კი *განგებამ* ადამიანის ხსნა დააკისრა, მარდუქი გამორჩეულია. მას თავისი განსაკუთრებული ბედი აქვს, რომელიც ადამიანის ბედთან არის გადაფსკვნილი. განსაკუთრებულია ხსნის მისეული მეთოდი. სადაც ადამიანი იღუპება, ის იქ მყოფობს; ის ცაშია, მაგრამ სადაც ადამიანი ეცემა, იქაც არის. რა უნდა მას *იქ*, ეს კოსმიური საიდუმლოა. ხასიდური იგავი გვასწავლის: “თუ გინდა ამოიყვანო ლაფში და სიბინძურეში ჩაფლული კაცი, ნუ გგონია, რომ ხელის გაწვდენა იყოს საკმარისი. შენ თავად უნდა ჩახვიდე მასთან ლაფში და სიბინძურეში. იქ მაგრად შემოაჭდო ხელები და შენს თავთან ერთად ამოათრიო სინათლისკენ (“ხასიდური სწავლანი”, თბ., ლომისი, 1994, გვ. 11). ეს იგავი თუ შეგონება ძველიდან მოდის, მას, შესაძლოა, არც კი ჰქონდეს შეხება ქრისტიანობასთან, სახელდობრ, ქრისტესეულ ხსნის აქტთან (*მაცხოვარება, სოტერია*). თუმცა მისი სემიტიური წარმომავლობა აშკარაა. ლაფსა და სიბინძურეში მოყვასის საშველად ჩასული კაცის სახეში ვხედავთ მარდუქს, რომელიც ისევე ვნებულია, როგორც ლაფში

ჩავარდნილი კაცი. მარდუქს ეს ვნებულობა მისი კოსმოგონიური წარსულიდან გამოყვა. როცა იგი სამყაროს შესაქმელად ქაოსის ზღვაურ ურჩხულს ებრძოდა და, ვიდრე მას დაამარცხებდა, მის შიგანში აღმოჩნდა, ანუ გველეშაპის მიერ იყო შთანთქმული. მას შიგნიდან უნდა გარდაექმნა ქაოსი კოსმოსად. ასე, ყველა კოსმოგონიური გმირი ჯერ შთანთქმულ-დამარხულია, მერე – ამონთხეულ-აღმდგარი. ამონთხევდან იწყება სწორედ კოსმოგენეზი. დაღეწილი, არარაობის ფსკერამდე მიყვანილი მარდუქი განიახლებს, მოიკრეფს ძალებს, ახალი ცხოვრებისთვის იბადება. სამყაროს უფალი, რომელიც იშვიათად შემორჩენილ ეზოტერულ ტექსტებში ბელად (იგივე ბაალ “უფალი”) იწოდება, უქვემოეს სკნელში იხილვება, რაც შემდგომ ადამიანური ყოფის დონეზე მკვდართა სამეფოსთან არის გაიგივებული. ერთ რიტუალურ ტექსტში თავად მარდუქი, *ბელის* საიდუმლო სახელით წარმოთქვამს: “მე იგი ვარ, ვინც სიკვდილის სახლში შედის... შეკრულთა (ანუ მკვდართა, ზ.კ.) შემწყვანარებელი, დაცემულთა ხელისაღმპყრობელი, მცენარეთა თესლის გამღივებელი, კაცთა მოდგმის შემქმნელი, რომლის სახელი ნამტვრევთა ადგილას *ვაშინერს*, მე იგი ვარ. ბელი, რომელიც *აქითუს* (ახალწლის, ზ.კ.) დღესასწაულზე თიამათის შუაგულში ზის, რომლის საფლავს საგოდებელ სახლში კაციშვილი ვერ მიეკარება”. დღესასწაულის დასკვნით ეტაპზე ბაბილონში შეკრებილ ღმერთთა თვალწინ აქითუს სახლიდან, სადაც ის თიამათის მუცელში იჯდა, ხომალდით გამოასვენებენ მის ქანდაკს. ეს არის მისი გამოღწევა-დაბადება ქვესკნელიდან, სადაც ის თავისი ნებით ჩავიდა, რათა გაესინჯა სიკვდილის გემო, რათა გულმოწყალებით ეხსნა *საფლავად ჩამავალნი*.

მარდუქის ვნებანი საახალწლო დრამაშია შეფარული. ახალი წელი (*აქითუ*) მხოლოდ ახალი წლის დამდგვის აღმნიშვნელი დღესასწაული არ არის. ამ დროს აღინიშნება სამყაროს დაბადების დღე (ეს თარიღი ზუსტად ჰქონდათ გამოანგარიშებული ბაბილონელ ქურუმებს), ის მიჯნა, როცა ძველი ახლით იცვლება. და ეს ცვლილება მტკივნეულია, ამას

გრძნობს მოდღესასწაულე ხალხი, მთელი ქალაქი ბაბილონი, რომელიც ჩაბმულია მისტერიაში. წელიწადისა და სამყაროს სიძველეს თავის თავზე იტვირთავს მარდუქი – სამყაროს შემოქმედი, რადგან ის ერთადერთია, რომელიც პასუხს აგებს სამყაროზე, მის სიმტკიცეზე. სამყაროს განახლებასთან ერთად განახლება წელიწადი და მეფობა. მეფე მარდუქის როლს ასრულებს მისტერიაში, რომელიც იწყება მეფის დამცრობა-დამცირებით თვით სიკვდილამდე. მას ჩამოერთმევა სამეფო ღირსების ნიშნები, ფეხშიშველს და სამოსელგანძარცულს ქურუმ სილას აწნავს და ყურებს აუწევს; თუ მეფე აცრემლდა, დაღვრილი ცრემლის სიუხვით იზომება მომავალი წლის სიუხვე. მერე მეფე, ღმერთისა და ქურუმის წინაშე მუხლებზე დაცემული, იმართლებს თავს, რომ გასულ წელს თავის მეფობაში არ დაურღვევია რიტუალები, არ შეუცოდავს არც ღმერთებისა და არც წმიდა ქალაქის ბაბილონის წინაშე, შეურაცხყოფელი სილა არ გაუწნავს თავისუფალი მოქალაქისთვის და სხვა. მისტერიაში მეფის როლს ასრულებს არა თავად მეფე, არამედ საგანგებოდ არჩეული მისი დროებითი შემცვლელი (სუბსტიტუტი). ეს ერთი და იგივე პირი ასრულებს როგორც ქვეყნის მეფის, ისე სამყაროს მეფის, რომელ არს მარდუქი, როლს. ყველა დამცირება, რასაც მეფე განიცდის, მარდუქის განსაცდელია. ბაბილონურ ენაზე შემონახულ სცენარში ახალწლის დღეებში შესასრულებელი მისტერიისა ვკითხულობთ: “მას შემდეგ რაც ღმერთები მას შეიპყრობენ, იგი გაუჩინარდება ცოცხალთა ქვეყნიდან საპყრობილეში, მზესა და ნათელს მოწყვეტილი...” სხვაგან მარდუქს ვხედავთ მთაში (ქვესკნელის სინონიმი) დატყვევებულს, დაჭრილს და მკვდარს. მისი საფლავი მთაშია – ეს არის საფეხუროვანი კოშკის, ზიკურატის, ბოლო სართული. ეს არის მისტერიის პირველი აქტი, რომელიც განასახიერებს მარდუქის სიკვდილს, მის მოწყვეტას ცოცხალთა ქვეყნიდან და გაუჩინარებას. კოსმოგონიური მითოსით, მარდუქის საპყრობილე თიამათის მუცელია, სადაც ელის ხელახლა შობას, მაგრამ ჯერ მკვდარია. მისტერიის მეორე აქტში მარდუქი უნდა აღორძინდეს, თავდახსნილი უნდა იქნას ტყვეობიდან

და, რაც იგივეა, სიკვდილისგან. ამ მიზნით მისი საფლავის თუ საპყრობილის კართან კითხულობენ იმ კოსმოგონიური მითოსის ტექსტს, სადაც აღწერილია მისი საბოლოო გამარჯვება ქაოსზე, თიამათზე, რომლისგან იყო შთანთქმულ-შეპყრობილი, და ბოლოს, ამ ქაოსისგან კოსმოსის შექმნა. საბოლოოდ, განახლდება მეფობაც კოსმიური მეფობის განახლებასთან ერთად და იბადება ახალი წელი.

V

კასიტური ხანის თხზულება, რომელსაც ძველ კატალოგებში სათაურად უზის “ვადიდებ სიბრძნის უფალს”, ბაბილონელი ტანჯული მოქალაქის *შუბში-მეშრე-შაქანის* დრამას კოსმიური დრამის კონტექსტში განიხილავს. როდესაც ბაბილონელის ტანჯვამ ამ მარტოობაში კულმინაციას მიაღწია, როცა არავინ შერჩა გვერდით, არც მახლობელი ადამიანი, არც მფარველი ანგელოზი, არც რომელიმე ღმერთი, ისე რომ, ვიდრე მოკვდებოდა, გლოვა უკვე დასრულებული იყო, როცა იგი უკვე *საფლავად ჩამავალთა* შორის იყო შერაცხილი, როცა ხუბურის წყლებს იყო მიმდგარი, სწორედ მაშინ სამგზის ზმანებულ სიზმარში გამოეცხადნენ მას მარდუქის მაცნენი და ამცნეს, რომ ახლოს იყო მისი განკურნება. *საფლავად ჩამავალმა* იგრძნო მარდუქის ხელი:

*უფალმა ხელი ჩამჭიდა,
უფალმა ფეხზე დამადგინა,
უფალმა სიცოცხლე მომანიჭა,
უფალმა მიხსნა ბნელი სკნელიდან,
ხუბურის წყლებიდან ამომათრია...”*

მთელი გზა ტანჯვისა, რომელიც მან გაიარა, უკუშემოქცევით თავის საწყისს დაუბრუნდა და გასცდა მას: სნეულებებმა და უკურნებელმა სატკივრებმა სათითაოდ დასტოვეს მისი სხეული და მისი მოღრუბლული სახე მხესავით გაბრწყინდა. მარდუქმა დაუბრუნა მას არა მხოლოდ ფიზიკური სიმრთელე, არამედ სოციალური სტატუსიც აღუდგინა, რათა კვლავ ლაღად ევლო ბაბილონის მთავარ – *ქუნუმ-ქედრის* ქუჩაზე და

საჯაროდ გაეცხადებინა თავისი გადარჩენის სასწაული. ის თორმეტი ბჭე, რომელშიც *საფლავად ჩამავალი* გაატარეს, სადაც სათითაოდ დაატოვებინეს ამქვეყნიური ღირსებები და კეთილდღეობის ნიშნები, ხუბურის წყლებიდან ამომავალმა კვლავ გაიარა, რათა წართმეული უკანვე დაებრუნებინა.

მთელი ეს დრამა, რომელსაც განიცდის ბაბილონელი, მოწოდებულია იმისკენ, რათა მან აღმოაჩინოს ჭეშმარიტება მარდუქის, *სიბრძნის უფლის* შესახებ, რომ მარდუქია ერთადერთი ღმერთი, რომელიც ატარებს ჭეშმარიტი ღმერთის სახელს, რომ ის მაცხოვარია (*მუბალიტ*), რომელიც არ მიატოვებს *საფლავად ჩამავალს*, ტანჯულს და განკიცხულს, რადგან თავადაც ვნებული იყო ერთხანს და ცოცხალთა ქვეყანას მოწყვეტილი. ეს ხელი, რომლითაც ქვესკნელში ჩამავალმა მარდუქმა ბაბილონელი ამოიყვანა, იმ ხელის შორეული პრეფიგურატივია, რომელსაც სათითაოდ ამოყავს გარდასულთა სულები, და მათ შორის პირველი ადამია (იხ. ხატი “ჯოჯოხეთის წარტყვევნა”, რუსული ტრადიციით Сошествие во ад). როგორც თხზულების სათაური – *ludlul bel nemeqi* ანუ “განგადიდებ სიბრძნის უფალს” – გვიჩვენებს (ამ სიტყვებითვე იწყება პოემა), საზრისი მთელი იმ ფიზიკური, სულიერ-ზნეობრივი და სოციალური განსაცდელისა, რომელიც ბაბილონელს, როგორც ბიბლიურ იობს, დაატყდა თავს, მარდუქის განდიდება იყო. ამით ვუბრუნდებით იმ თემას, რითაც დავიწყეთ ეს სტატია, დავიწყეთ ქრისტეს მეგობარ ლაზარეთი, რომელზეც თქვა მაცხოვარმა, რომ “ესე სნეულება არა არს სასიკუდინე, არამედ დიდებისათვის ღმრთისა, რადთა იდიდოს ძე ღმრთისაჲ” (ი. 11:4). ეს ასეა, მაგრამ მაინც ისმის კითხვა: რაშია მარდუქის (და მისი მიწიერი შემცვლელის – ქვეყნის მეფის) ვნებათა საზრისი? ქრისტემ კაცობრიობის ცოდვები იტვირთა და, როგორც ცოდვილი აღმოჩნდა ჯოჯოხეთში, მაგრამ რა მიზეზით ადგას მარდუქი, “სიბრძნის უფალი”, ქვესკნელად ჩამავალთა გზას?

მის ამ გზაში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ პრეფიგურაციის ახალი კორიზონტი, სახელდობრ, ქრისტეს ვნებათა სოტერიოლოგიური საზრისის წინასახე ბაბილონურ სულიერ კულტურაში, რაც არასოდეს, როგორც საიდუმლო, სიტყვას მინდობილი არ ყოფილა. არც ერთი რიტუალური ტექსტი არ გვიმხელს ამ უკანასკნელ საიდუმლოს – *სიბრძნის უფლის* ვნებათა მიზეზს და მიზანს.

მარდუქის ვნებათა მიზეზი მისივე შექმნილი კოსმოსის დაძველებაა: მარდუქი პასუხისმგებელია მასზე და ის ვაღდებულება თავად იტვირთოს კოსმოსის “ცოდვები”, რომლებიც ერთი წლის მანძილზე გროვდება. მისი ვნებანი მთელს ქვეყნიერებაზე ავსულთა (დემონიურ არსებათა) თუ ადამიანთა მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისა და უკუღმართობის ნიშანია. მარდუქი მოხვეტავს მათ, “აიკიდებს” და ჩადის ქვესკნელში, რათა არარაობას მისცეს, განაქაროს ისინი. ცოდვათაგან გათავისუფლებული მარდუქის ამოსვლა ქვესკნელიდან ახალი შესაქმის ბადალია.

აღორძინდება სამყარო, აღორძინდება ბუნება, აღორძინდება ყვეყანა, აღორძინდება კაცთა მოდგმა, მათ შორის აღორძინდება ბაბილონელი უბრალოდ ტანჯული, სახელად *შუბში-მეშრე-შაქანი*.

VI

ბაბილონური პანთეონის თითქმის ყველა ღმერთს შესთხოვენ ცოდვათა მიტევებას და ხსნას, მაგრამ სოტერიოლოგიური პრეფიგურაციის მთელი სიმძიმე მარდუქზეა, რადგან ის ერთადერთია ღმერთებს შორის, რომელიც “ივნო და დაეფლა”. მას, ვნებულს, უპირატესად ცოდვათა მიმტევებლის, მაცხოვრისა და მხსნელის როლში ვხედავთ.

მარდუქი ცოდვათა უნივერსალური მიმტევებელია: მას შესთხოვენ მლოცველები, შეუნდოს მათ ცოდვები, რაც კი ბავშვობიდან ჩაუდენიათ – შეგნებულად თუ შეუგნებლად, “ცოდვები მამისა, მამის მამისა, დედისა, დედის დედისა” და ასე შემდეგ ალბათ პირველ მამამდე და დედამდე, პირველ წინაპრამდე, ვიტყოდით, *ადამამდე*; შეუნდოს “ცოდვები ოჯახისა, სანათესაოსი და საგვარეულოსი”, რომლებიც აწევს ყოველ ადამიანს,

როგორც “განცდა თვისთა ცოდვათა”. მისი პიროვნული მე გაცილებით ფართოა, ვიდრე დღეს შეგვიძლია ამის წარმოდგენა და, ამიტომაც, ის ცოდვები, რომელთა შენდობასაც (ბაბილონური ტერმინოლოგიით: დახსნას) იგი ითხოვს, მართლაც უნივერსალურია, საკაცობრიოა და, ამდენად, დასაბამიერი; ის კისრულობს მათ, პასუხისმგებელია მათზე, რაკი მათგან დახსნას ითხოვს. ყველა შეჭირვება, რაც კი შეხვედბა მას ცხოვრების გზაზე, იმ ცოდვების შედეგია, რომლებიც პირველმამამ “მას უამსა შინა” ჩაიდინა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი *შუბში-მეშრე-შაქანი* თუ თავისუფალია პირადი ცოდვებისგან, ის ნამდვილად პასუხს აგებს პირველჩადენილი ცოდვის გამო, რომელსაც ვერ გაექცეოდა და ვერც გაექცა. ბაბილონურ (საზოგადოდ, შუამდინარულ) ლოცვებში, ასევე ბიბლიურ ფსალმუნებში, გამოსტყვივის აზრი, რომელიც ქრისტიანობაში საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა: ადამიანი ყოველთვის დამნაშავეა ღვთის წინაშე (იოანე ოქროპირი).

სოტერიოლოგიური პრეფიგურატივის მწვერვალია პოემის დასასრულს სამგზის განსხვავებული ფრაზეოლოგიით გამოთქმული საბოლოო ტემპარიტება მარდუქის, როგორც მაცხოვრის, ბუნებაზე: ა) “დაინახეს ბაბილონელებმა, რომ აცოცხლებს მარდუქი”, ბ) “მარდუქის გარდა, ვინ აცოცხლებს მკედრებს?”, ბ) “მარდუქს ძალუძს საფლავეებში სიცოცხლის მინიჭება”, როგორც აღდგომის ტროპარში გვესმის წლიდან წლამდე ჩვენს მაცხოვარზე, “საფლავეების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელზე”.

მარდუქის არსებითი ეპითეტი *მუბალლიტ* (“მაცხოვარი”, “ცხოვრების მიმნიჭებელი”) ზუსტი სემანტიკური შესატყვისია ბერძნული სიტყვისა *სოტერ* (“მაცხოვარი”). ბაბილონურ სიტყვაში აშკარად, ხოლო ბერძნულში შეფარულად მყოფობს “სიცოცხლის” ძირი: *ბალატ* და *ზოე* (*სოზო*, **სოზტერ*). მარდუქის წოდება უფრო სრულად *მუბალლიტ მითი* “განმაცოცხლებელი მკედართა” ანუ “მკედართათვის სიცოცხლის მიმნიჭებელი”, რომლითაც ის იდიდება ჩვენს პოემაში და ჰიმნებში,

ლინგვისტური პრეფიგურაციის შესანიშნავი მაგალითია. იგი მხარს უჭერს სოტერიოლოგიურ პრეფიგურაცივს.

[შენიშვნა. ინდოევროპულ ენებზე ქრისტეს უპირველესი ეპითეტი “ხსნის” სემანტიკით არის წარმოდგენილი: ლათ. Salvator (აქედან ყველა რომანულ ენაში), გერმ. Heiland, სომხ. *ფრკი* (“მხსნელი”), Спас. ქართული ერთადერთია, რომელიც ბერძნულ *სოტერს* ადექვატურად თარგმნის “მაცხოვრად”, ესმაურება რა ბაბილონურ *მუბალლიტ*-ს. შეგვიძლია ვილაპარაკოთ ქართული ტერმინის უპირატესობაზე: იგი, უპირველეს ყოვლისა, თავისი სემანტიკით გამოხატავს ხსნის არსებით მხარეს, რაც სიცოცხლის მინიჭებაში (ტროპარის “ცხოვრების მიმნიჭებელი”) მდგომარეობს. ჩვენი ტერმინი ესქატოლოგიურია: იგი გულისხმობს სიცოცხლის, ყველაზე მნიშვნელოვანის, რაც ადამიანს ეწყალობა მისი შექმნისას, მკვდრეთით აღდგენას; ყველაზე ძვირფასის გამოტაცებას სიკვდილისგან, რაც აქვს ადამიანს და რაც ექნება სამარადისოდ. აღდგომა, პირველ ყოვლისა, ბიოლოგიური ფაქტია, რაც გულისხმობს ადამიანის ქვედა ბუნების – ხორცის კარდინალურ გარდაქმნა-ფერისცვალებას, მის სრულყოფას **სულ**-ყოფის გზით. ამას გამოხატავს სიტყვა მა-ცხ-ოვ-არ-ი ანუ განმაცხოველებელი. ამიტომ იწოდება ქრისტე მაცხოვრად...].

მოსალოდნელი იყო, რომ საკუთარი სახელები პოემაში სიმბოლური დატვირთვის შემცველი იქნებოდა. ქუჩა ბაბილონში, სადაც გაივლის მკვდრეთით აღმდგარი და მარდუქის გააცხადებს საქვეყნოდ, ატარებს ნიშანდობლივ სახელს *ქუნუშ-ქუდრუ*, რაც ნიშნავს “ქედი მოიხარე, ამპარტავანო”. ასე ეწოდებოდა რეალურად ქუჩას ბაბილონში, სადაც მისტერიის მთავარი პროცესია იმართებოდა. მაგრამ სახელი თავად ამ კაცისა *შუბში-მეშრე-შაქან* “გააჩინე სიუხვე, შაქან” თითქოს განსაკუთრებულს არაფერს გვაუწყებს მასზე. ეს სახელი უფრო მწყემსების, ვიდრე ურბანისტული წრიდან გამოსულ ადამიანს შეეფერება, რადგან შაქანი გარეული პირუტყვის მფარველი ღვთაებაა. მაგრამ თუ ჩავუკვირდებით შაქანის ბუნებას, აღმოვაჩინთ მასში მკვდარი და აღმდგარი ღვთაების სახეს. შაქანი პერიოდულად ჩადის ქვესკნელში და ამოდის სამზეოში. სნეული ადამიანი, რომელიც რიტუალურად მკვდარია, გაიგივებულია ქვესკნელში მყოფ შაქანთან, რომლის მკვდრეთით აღდგომა სნეულის განკურნების საწინდრად არის მიჩნეული.

გამოყენებული ლიტერატურა

Lambert W.G. *Babylonian Wisdom Literature, Oxford 1960*. (წიგნში გამოქვეყნებულია ბაბილონური პოემა ტრადიციული სათაურით, როგორც ლურსმული დაფების კოლოფონებსა და კატალოგებშია, *Ludlul bel nemeqi* “ვადიდებ სიბრძნის უფალს”, ჩვენი დასათაურებით კი “უბრალოდ ტანჯულის აღსარება”; ბაბილონური ტექსტი ინგლისური თარგმანითა და ლურსმული დედნებიურთ).

Pallis Svend Aage. *The Babylonian akitu Festival, København, 1921*.

(მრავალრიცხოვანი რიტუალური თუ მითოსურ-ეპიური ტექსტების ანალიზის საფუძველზე გახსნილია ბაბილონური *აკითუს* მისტიკის სამმაგი საზრისი, ეს არის: კოსმოსის, წელიწადის და მეფობის ანუ, რაც იგივეა, ქვეყნის განახლება).

ძველი შუამდინარული პოეზია, თბ., “მერანი”, 1987 (ბაბილონური ტექსტის – *ludlul bel nemeqi* “ვადიდებ სიბრძნის უფალს” – ქართული თარგმანი: “უბრალოდ ტანჯულის აღსარება”, გვ. 44-53).